137. **300 (სამასი) ლარი:** აღნიშნული თანხით ფულადი დახმარება გაეწიოს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაბლაციხის ადმინისტრაციულ ერთეულში, მცხოვრებ მოქალაქე ლამარა პაიჭაძეს (პ/ნ 46001006900) სამედიცინო გამოკვლევის ხარჯების დასაფინანსებლად.
138. **150 (ასორმოცდაათი) ლარი:** აღნიშნული თანხით ფულადი დახმარება გაეწიოს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. დაბლაციხეში მცხოვრებ მოქალაქე ნინო ახალაძეს (პ/ნ 460010110681 ) მედიკამენტების შესაძენი ხარჯების დასაფინანსებლად.
139. **100 (ასი) ლარი:** აღნიშნული თანხით ფულადი დახმარება გაეწიოს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში, მცხოვრებ მოქალაქე ნინო მამალაძეს (პ/ნ 46001005661) სამედიცინო გამოკვლევის ხარჯების დასაფინანსებლად.**(დაუფინანსებელი)**
140. **100 (ასი) ლარი:** აღნიშნული თანხით ფულადი დახმარება გაეწიოს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. დაბლაციხეში მცხოვრებ მოქალაქე ვერა თოდუას (პ/ნ

- 46001007996) შვილის ელგუჯა თოდუას (პ/ნ46001014874) მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების შესაძენად.
- 141. 200 (ორასი) ლარი:** აღნიშნული თანხით ფულადი დახმარება გაეწიოს, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შუამადლეების ადმინისტრაციულ ერთეულში, მცხოვრებ მოქალაქე ნანული დოლიძეს (პ/ნ 46001019371) ოჯახს.
- 142. 5000 (ხუთი ათასი) ლარი:** აღნიშნული თანხა მიიმართოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მისასვლელი გზებისა და დაბა ჩოხატაურის ქუჩების თოვლის საფარისაგან გაწმენდის სამუშაოებზე. (დაუფინანსებელი)
- 143. 200 (ორასი ) ლარი:** აღნიშნული თანხით ფულადი დახმარება გაეწიოს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯვარცხმაში მცხოვრებ მოქალაქე სერგო ჩხიკვაძეს (პ/ნ 46001003238 ) მკურნალობის ხარჯების დასაფინანსებლად.
- 144. 200 (ორასი) ლარი:** აღნიშნული თანხით ფულადი დახმარება გაეწიოს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარში მცხოვრებ მოქალაქე ჯუმბერი მეფარიშვილს (პ/ნ 46001021501) მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების შესაძენად.
- 145. 200 (ორასი) ლარი:** აღნიშნული თანხით ფულადი დახმარება გაეწიოს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლებაში მცხოვრებ მოქალაქე ლია გოგიტაურს (პ/ნ 46001010542) სამედიცინო გამოკვლევის ხარჯების დასაფინანსებლად.(დაუფინანსებელი)
- 146. 700 (შვიდასი ) ლარი:** აღნიშნული თანხა მიიმართოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაბელავში, მდინარე გუბაზეულზე (თავპანტის) გადასასვლელი ხიდის მოწყობის, დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში, თბილისის ქუჩაზე (მოქალაქე ვაჟა ქორიძის საკარმიდამო ნაკვეთის მიმდებარედ) წყლის საწრეტი ჭის მოწყობის, სოფ. ზემო ერკეთში, სოფ. ზემოხეთში გზების შეკეთების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯებისათვის.
- 147. 150 (ასორმოცდაათი ) ლარი:** აღნიშნული თანხით ფულადი დახმარება გაეწიოს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ, ეპილეფსიით დაავადებულ, მოქალაქე ევგენი სიმონიას (პ/ნ 46001007114) სამედიცინო გამოკვლევის ხარჯების დასაფინანსებლად.
- 148. 100 (ასი ) ლარი:** აღნიშნული თანხით ფულადი დახმარება გაეწიოს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამადლეებში მცხოვრებ მოქალაქე ზაურ სიხარულიძეს (პ/ნ 60001063778) მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების შესაძენად.(დაუფინანსებელი)

### ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები:

- ❖ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა - 831,47 ათასი ლარი;
- ❖ კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 651,61 ათასი ლარი;
- ❖ მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 2154,58 ათასი ლარით;
- ❖ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები - 620,88 ათასი ლარი;
- ❖ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები - 3 326,09 ათასი ლარით;
- ❖ სოფლის მეურნეობის მხარდამჭერა და განვითარება - 1,55 ათასი ლარი;
- ❖ სკოლამდელი განათლების დაფინანსება - 966,39 ათასი ლარი;

- ❖ ზოგადი განათლების დაფინანსება - 28,35 ათასი ლარი;
- ❖ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი - 98,55 ათასი ლარი;
- ❖ სპორტული ობიექტების დაფინანსება - 585,30 ათასი ლარი;
- ❖ კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა - 955,08 ათასი ლარი;
- ❖ კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა - 4,9 ათასი ლარი;
- ❖ საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა - 15,26 ათასი ლარი;
- ❖ რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 10,40 ათასი ლარი;
- ❖ საზოგადოებრივი ჯანდაცვა - 96,91 ათასი ლარით;
- ❖ დაკრძალვის ხარჯები - 0,75 ათასი ლარით;
- ❖ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება - 86,50 ათასი ლარით;
- ❖ ლტოლვილთა დახმარება - 2,55 ათასი ლარით;
- ❖ საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება - 14,90 ათასი ლარით;
- ❖ სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება - 321,43 ათასი ლარით;
- ❖ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 199,06 ათასი ლარით;

### **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტებია**

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
2. განათლება;
3. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
5. თავდაცვა უსაფრთხოება;

### **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები**

1. თავდაცვა და უსაფრთხოება დაფინანსებულია 107,4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 117,8 ათასი ლარის 91,1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

1.2. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრული იყო 117.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 107,4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 91,1 პროცენტი.

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ განხორციელებული იქნა შემდეგის სახის აქტივობები: გამწვევი კომისის ფარგლებში ჩატარდა 20 სხდომა სადაც მიღებული იქნა 244 გადაწყვეტილება, მათ შორის სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ 85, ხოლო გადავადების შესახებ 159, თბილისის შემკრებ პუნქტში სამედიცინო კომისიაზე გადაყვანილი იქნა 79 წვევამდელი. აქედან გეგმით გათვალისწინებული 12 წვევამდელის ნაცვლად სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩარიცხული

## 2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

დაფინანსებულია 7586,18 ათასი ლარით რაც გეგმის (8 420,7 ათასი ლარი) 90,2 პროცენტია;

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა დაფინანსებულია 831,47 ათასი ლარით, რაც გეგმის (788,2 ათასი ლარი) 105,5 ათასი ლარი, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში განხორციელდა ჭარბი თოვლის საფარისაგან განთავისუფლება. აგრეთვე, საჭამიასერი-კოხნარის დამაკავშირებელი გზის და შუაფარცხმის გზის ასფალტო ბეტონის საფარის რეაბილიტაცია. დაბა ჩოხატაურში ნინოშვილის, გურიის, დუმბაძისა და კალანდაძის ქუჩების შემაერთებელი მონაკვეთის, გოგებაშვილის ქუჩის მეორე ნაწილის და კოსტავას ქუჩების ა/ბეტონის საფარითა და ბეტონის სანიაღვრე არხებით მოწყობა და გოგობერიძისა და ბენდელიანის ქუჩებზე ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები. სოფ. ერკეთის საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა. გორაბერეჟოული ჯვარცხმის დამაკავსირებელი გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 561,61 ათასი ლარით, რამაც გეგმის (556,5 ათასი ლარი) 102,4 პროცენტი შეადგინა.

აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა კომუნალური ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის სუბსიდირება. რომლის ფარგლებშიც, როგორც კურორტ ბახმაროს ასევე მთელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ყოველდღიურად ტარდება დასუფთავების ღონისძიებები, რაც მათ შორის

გულისხმობს 120 ცალი სანაგვე ურნის მომსახურებას. ასევე ხორციელდებოდა 2500 ერთეულამდე გარე განათების წერტილის მომსახურება და მუნიციპალიტეტის გამწვანების ღონისძიებების ხელშეწყობა (სკვერების მოვლა პატრონობა, სხვადასხვა ნარგავების განახლება, შებარვა, შეწამვლა, გასხვლა და სხვა.

**2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები** დაფინანსდა 2 154,58 ათასი ლარით, რაც გეგმის (2 350,2 ათასი ლარი) 91,6%. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. რეგ.ფონდიდან განხორციელდა: დაბასა და ადმინისტრაციულ ერთეულში კეთილმოწყობის სამუშაოები, განხორციელდა სოფ. შუამადღლების კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება. გაგრძელდა დაბა ჩოხატაურში კულტურის სახლის მშენებლობა. მუნიციპალიტეტის სოფლებში: ზემოსურები, ზემოხეთი, ჩომეთი, გორაბერეჟოული, დიდივანი და წიფნარში დასრულდა მგზავრთა მოსაცდელის მშენებლობა. დაბა ჩოხატაურში ყოფილი არქივის, ყოფილი პოლიკლინიკის, გამგეობის შენობის ფასადების და მშენებარე კულტურის სახლთან მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია. სოფ. ხიდისთავში საბავშვო ბაღის მშენებლობა. სოფ. ჯვარცხმის კულტურის სახლის რეაბილიტაცია. სოფ. გორაბერეჟოულში ხანძრის შედეგად დამწვარი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა-რეაბილიტაცია .

#### ადგილობრივი ბიუჯეტი:

კულტურის სახლისთვის დეკორატიული ფარდების შეკერვის და სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა

დაბა ჩოხატაურში მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფ. სამებაში სასმელი წყლის

მაგისტრალური მილების მოწყობის სამუშაოები

სოფ. ხიდისთავის ცენტრში არსებული პარკისა და მშენებარე საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა

აგრარული ბაზრის და ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები

დაბა ჩოხატაურში კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

დაბა ჩოხატაურში კულტურის სახლისათვის შეძენილი იქნა მუსიკალური ისტრუმენტი „როიალი“



აგრეთე დაფინანსდა შენობებისა და მიწის ნაკვეთების პასპორტიზაცია, პროექტების მომზადება და სხვა ღონისძიებები.

**2.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის** ფარგლებში წლის განმავლობაში გახარჯული იქნა 620,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (623,2 ათასი ლარი) 99,6 პროცენტია. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფლის მოსახლეობის მიერ მოთხოვნილი ღონისძიებების დაფინანსება. კერძოდ:

სოფ.ხიდისთავში გათვალისწინებული შიდა გზებისათვის რკინა ბეტონის კიუვეტების (არხების) და რკინა ბეტონონის გვირაბების შესყიდვა

საქონლის შესყიდვა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (წყლის მილები, საღებავიო, ლურსმანი, ლითონის ფურცელი, მოთუთიებული თუნუქი, რკინის მილი, შლანგის და მილის მექანიკური გადასაბმელები)

საქონლის შესყიდვა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (ცემენტი, თეთრი ცემენტი და საკედლე ბლოკი)

დახერხილი ხის მასალის შესყიდვა ტერიტორიული ერთეულისათვის

ბენზო ძრავიანი შესაწამლი აპარატი შესყიდვა სამებისა და ამაღლების ტერიტორიული ერთეულისათვის

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საქონლის შესყიდვა ტერიტორიული ერთეულებისათვის (მავთულბადე, ეკალმავთული, ელსადენი, გლინულა, სახვევი მავთული, რკინა კუთხოვანა, სიფ. ჩამქერი)

საქონლის (წყლის ავზი პოლიეთილენის) შესყიდვა ტერიტორიული ერთეულებისათვის

ექსკვატორ დამტვირთველის (თვლინი) შესყიდვა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საქონლის (მზა ბეტონისა და რკინა ბეტონის ფილების) შესყიდვა სოფ. ამაღლების ტერიტორიული

ერთეულისათვის (თანდართული სიის მიხედვით)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში აკაციის

ბოძებისა და ღობის მესერის შესყიდვა ხევის ტერიტორიული ერთეულისათვის

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საქონლის შესყიდვა ტერიტორიული ერთეულებისათვის (ჭალი ,გარე განათების ფარი)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საქონლის(არმატურა)შესყიდვა ტერიტორიული ერთეულებისათვის

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფელ შუასურებისათვის გზებზე ჩასადები პოლიეთილენის მილების შეძენა და სოფ.კოხნარი, წიფნარისათვის ცემენტის შეძენა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ზემოხეთის ადმინისტრაციული ერთეულისათვის

5 ტნ-იანი წყლის პოლიეთილენის ავზის შეძენა

საქონლის შეძენა (განათების ფარი, ალუმინის კორპუსით, ნათურებით)

სოფ. ბუკისციხისთვის ვინტილების და სოფ. კოხნარისათვის კვარცის სილის შეძენა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფ. კოხნარისა და სოფ. ბუკისციხის სარიტუალო დარბაზებისათვის სამზარეულოს ჭურჭელის შესყიდვა (თანდართული სიის მიხედვით, ადგილზე მიწოდებით)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საქონლის (ფრაქციული ღორღი, ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი) შესყიდვა ტერიტორიული ერთეულებისათვის (თანდართული სიის მიხედვით)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული ერთეულებისათვის საქონლის შესყიდვა (ეკლიანი მავთული, სიფ. ჩამჭერი განათების კაბელი)

სოფ. შუამაღლებისათვის 1 ტონა ცემენტის შეძენა ადგილზე მიტანით

ხევი ადმინისტრაციული ერთეულისათვის 3 ტონიანი წყლის ავზის შეძენა

ზემოსურების ადმინისტრაციული ერთეულისათვის 2 ცალი განათების ფარის შეძენა

საქონლის შესყიდვა საარჩევნო უბნებისათვის

კოხნარისათვის წყლის მიღების შექმნა

სოფ. ქვენობისათვის გაბიონის კალათების და ლეიბების შექმნა

სოფ. ხიდისთავისთვის და სოფ. ახალშენისათვის ცემენტის შექმნა

ამაღლების ადმინისტრაციული ერთეულისათვის სოფლის პროგრამით  
გათვალისწინებული

10 ცალი ბეტონის კუბიკის (1X1X1.5მ) შექმნა

ამაღლების ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რემონტისათვის

გათვალისწინებული ქვიშა-ხრეშოვანი მასალის შექმნა

საჭამიასერის ადმინისტრაციული ერთეულისათვის ელ. კაბელი 150 გრძ.მ

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქუჩო განათების  
სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენა

სოფ. ბასილეთში სასმელი წყლის მაგისტრალური მილების მოწყობა

სოფ.ხიდისთავი-ჭაჭიეთის გზის სავალ ნაწილზე რკ/ბეტონის საფარის  
მოწყობა

სოფ. ჯვარცხმაში, სოფ. ინტაბუეთში, სოფ. ქვენობანში, სოფ. ზომლეთში, სოფ.  
ზემო ფარცხმაში, სოფ. ერკეთში, სოფ. ახალშენში, სოფ. ზემო სურებში, სოფ.  
ბჟოლიეთში, სოფ. შუა ფარცხმაში, სოფ. გოგოლესუბანში, სოფ. გუთურში, სოფ.  
გორაბერეჟოულში, სოფ. ბურნათში გარე განათების მოწყობის სამუშაოები

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში განსახორციელებელი  
სამუშაოების

საპროექტო დოკუმენტაციისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენა

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენა

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენა

სოფ. ინტაბუეთში შიდა გზებზე სანიაღვრე არხების და წყალგამტარი მილების მოწყობის, სოფ. ჯვარცხმა-ვაზიანის საყანე ფართობთან მისასვლელ გზაზე მილხიდის მოწყობის, ჯვარცხმა-გორაბერეჟოულის შემაერთებელ გზის მონაკვეთზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობის, სოფ. ჯვარცხმაში ბერიშვილების უბანში გზის შეკეთების, სოფ. გორაბერეჟოულში არსებული ლითონის ხიდის გაფართოების და სოფ. გორაბერეჟოულში შიდა სასოფლო გზებზე მილხიდების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

სოფ. დაბლაციხეში შიდა გზების რეაბილიტაციისა და ცხაურის მოწყობის, სოფ. საყვავისტყეში შიდა გზების რეაბილიტაციის, სანიაღვრე არხებისა და ცხაურის მოწყობის, მადანას სასაფლაოსთან მისასვლელი გზის სარემონტო, სოფ. იანეულის ცენტრში კიუვეტების მოწყობის, სოფ. იანეულში სანიაღვრე არხების მოწყობის, სოფ. იანეულში ცენტრალური გზის და მახარაძეების უბანში მილხიდის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა

გამარტივებული ელექტრონული ტენდერით სოფ. შუასურებში ჭალის საცალფეხო ხიდის შეკეთების, სოფ. დიდივანში გაღმა დობიროს საუბნო გზის და გამოღმა დობიროს გზის შეკეთების,

სოფ. გურისტყეში სასოფლო კლუბის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა

ზემოსურების ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ზემოსურების საავტომობილო ხიდის დასრულების, სოფ. ზემოსურების ცენტრიდან ჰესის მიმართულებით გზის სარეაბილიტაციო, სოფ. თავსურებში შიდა გზების რეაბილიტაციის, ტობახჩოს საცალფეხო ხიდის მოწყობის, ტობახჩოს გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობის, შველაურის მილხიდის შექმნისა და მოწყობის, შველაურის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის, წითელგორას გზის რეაბილიტაციის, წითელგორას ხიდის შეკეთების, ჩაკიტაურში შიდა

გზისშეკეთების, ჩაკიტაურში ეზიეშვილების უბანში გზის შეკეთების სამუშაოების შესყიდვა

სოფ. ზოტში მისასვლელ გზაზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

სოფ. ნაბელავში შიდა გზების შეკეთების, სოფ. ქვაბლაში ჭინჭიხას უბანში მისასვლელი გზის შეკეთების, სოფ. ჩხაკაურაში ძველი სასაფლაოს შემოღობვის, სოფ. ჩხაკაურაში ახალი სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოების შესყიდვა

სოფ.ხიდისთავში სასაფლაოს შეღობვის , სოფ. წიფნაგვარაში შიდა გზების შეკეთების, სოფ. ზენობანში ასფალტობეტონის საფარის მოწყობის, სოფ. ახალშენში ნატოს წყაროს რეაბილიტაციის, შიდა გზების შეკეთების და მილხიდების მოწყობის, სოფ. მეწიეთში მისასვლელ გზაზე რკ/ბეტონის

სავალი ნაწილის მოწყობის, სოფ. ბუქსიეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის გაფართოების, სოფ. ხევის დამაკავშირებელ გზაზე მილხიდების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

სოფ. ქვემო ერკეთის სარიტუალო დარბაზის სარემონტო, სოფ. ქვემო ონჭიქეთის შიგა გზების რეაბილიტაციის, სოფ. ერკეთი-კოხის დამაკავშირებელი გზის სარემონტო, სოფ. ზემო ონჭიკეთის შიგა გზების რეაბილიტაციის, სოფ. შუბნის ეკლესიასთან მისასვლელი გზის სარემონტო, სოფ. ერკეთი-შუბნის მიმართულებით სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

სოფ. გუთურში სანიაღვრე არხების, წყალგამტარი მილებისა და მილხიდების მოწყობის, სოფ. გუთურში სიხარულიძეების ეზოს მიმდებარედ მეფარიშვილების ეზომდე საავტომობილო გზის სანიაღვრე არხებისა და მილხიდების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

სოფ. გოგოლესუბამში სასაფლაოს მიმართულებით გზის სარემონტო, მერეს უბანში საავტომობილო ხიდის მოწყობის, მალხაზის უბანში გზის სარემონტო, მჭედლების სერზე ბეტონის საფარიანი გზის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

სოფ. შუაამაღლებაში კარადა მაცივრის მოწყობის, უდაბნოს მიმართულებით წყლის სისტემის რეაბილიტაციის და

ბაბულებიშვილების მიმართულებით გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა

სოფ. ვანში სამედიცინო ამბულატორიის რეაბილიტაციის, სოფ. ვანის შიდა გზების რეაბილიტაციის, სოფ.ამაღლებაში მერეს უბანში ხიდის რეაბილიტაციის, შიდა გზების რეაბილიტაციის, სოფ. სამებაში

შიდა გზების რეაბილიტაციის და მერეს უბანში ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა

სოფ. შუა ფარცხმაში საყანე ფართობთან მისასვლელ გზაზე წყალგამტარი მილის მოწყობის, შიდა სასფოლო გზების რეაბილიტაციის, სოფ. ზემოფარცხმაში სკოლაში მისასვლელი გზის შეკეთების, სოფ. ზემოფარცხმიდან დაბის სასაფლაოზე მისასვლელი გზის შეკეთების, სოფ. ფარცხმაში შიდა სასოფლო გზების ტეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა

სოფ.კოხნარში შიდა გზების და სოფ. ნაკადულში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა

სოფ. ქვენობანში შიდა გზების სანიაღვრე არხებისა და მილხიდების მოწყობის, სოფ. ბუკნარის შიდა გზების, მილხიდებისა და ხიდის ბურჯების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

სოფ. ჩომეთში შიდა გზების შეკეთების, სოფ. კალაგონში წყლის სისტემის აღდგენის და შიდა გზების რეაბილიტაციის, სოფ. მამულარშუ შიდა გზების რეაბილიტაციის, სოფ. ქვემოხეთში შიდა გზების შეკეთების, სოფ. განთიადში შიდა გზებისშეკეთების, სოფ. გოგოურში შიდა გზების შეკეთების, სოფ. თხილაგანში შიდა გზების შეკეთების სამუშაოების შესყიდვა

სოფ.ბურნათის სხვადასხვა უბნებში გზის შეკეთების, ბურნათი-კოხნარის შემაერთებელი გზის შეკეთების, სოფ. წიფნარში კორიფაძეების უბანში შემავალი და მიმდებარე გზების შეკეთების სამუშაოების შესყიდვა

ფარცხმის სარიტუალო დარბაზში გაზის გარე და შიგა ქსელის მოწყობის სამუშაოები

სოფ.ხიდისთავში შიდა გზებისათვის რკინა ბეტონის კიუვეტების (არხების) და რკინა ბეტონონის გვირაბების შესყიდვა

საქონლის შესყიდვა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (წყლის მილები, საღებავი, ლურსმანი, ლითონის ფურცელი, მოთუთიებული თუნუქი, რკინის მილი, შლანგის და მილის მექანიკური გადასაბმელები)

საქონლის შესყიდვა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (ცემენტი, თეთრი ცემენტი და საკედლე ბლოკი)

სოფლის პროგრამით გათვალისწინებული დახერხილი ხის მასალის შესყიდვა ტერიტორიული ერთეულისათვის

**2.5 სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას 2016 წლის განმავლობაში 3 326,0 ათასი ლარი მოხმარდა, რაც გეგმის 4 126,2 ათასი ლარის 80,6%. სოფელ ხიდისთავში სტიქიის შედეგად დაზიანებული საავტომობილო ხიდის აღდგენითი სამუშაოები( 1 699 999 ლარზე)**

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები

სტიქია სახურავები. N1340 განკარგულება ( 223 400 ლარი)

სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლებისათვის სახურავის ხის მასალის შექმნა

სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების სახურავებისათვის თუნუქის შექმნა

სტიქია. N1409 განკარგულება (748 000 ლარი)

საპროექტო სახარჯთაღრიცხვი დოკუმენტაციის მომზადება (არტი)

საპროექტო სახარჯთაღრიცხვი დოკუმენტაციის მომზადება (შ.პ.ს ხევი+)

სოფ. ბჟოლიეთში ვაჩეიშვილების უბანში საცალფეხო ხიდის მოწყობის სამუშაოები

დაბა ჩოხატაურში ბენდელიანის ქუჩის მიმდებარედ საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები

დაბა ჩოხატაურში თბილისის ქუჩაზე მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობის და ბურჭულაძის ქუჩაზე წყალგამტარი არხებისმოწყობის სამუშაოები

დაბა ჩოხატაურში გურამიშვილის ქუჩაზე მდ. სუფსის მარცხენა ნაპირზე ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები.

დაბა ჩოხატაურში მარისა და გოგიბერიძის ქუჩაზე ქუჩაზე წყალგამტარი მილებისა და ბეტონის არხების მოწყობის სამუშაოები

დაბა ჩოხატაურში მგალობლიშვილის ქუჩაზე წყალგამტარი მილებისა და არხების მოწყობის სამუშაოები

დაბა ჩოხატაურში რუსთაველისა და მიმდებარე ქუჩაზე წყალგამტარი მილებისა და არხების მოწყობის სამუშაოები.

სოფ. შუაფარცხმაში გოგოლესუბნის დამაკავშირებელი მილხიდს აღდგენისა და შავადეების უბანში მილხიდისა და გზის მონაკვეთის შეკეთების სამუშაოები

სოფ. ამაღლებაში მაჩაქის ხიდის ნაპირსამაგრის მოწყობის, სოფ. შუაამაღლებაში უდაბნოს მიმართულებით საავტომობილო გზისა და სოფ. ვან-ზომლეთი კონცხოულას გზის სარემონტო სამუშაოები

გორაბერეჯოულში სასოფლო გზებისა და ჯვარცხმაში საცალფეხო ხიდის და გზის სარემონტო სამუშაოები

დაბა ჩოხატაურში ნინოშვილისა და გურიის ქუჩებზე გზების სარემონტო სამუშაოები

დაბა ჩოხატაურში 9 აპრილის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის და ლომთათიძის ქუჩაზე წყალგამტარი არხების მოწყობის სამუშაოები

სოფ. ერკეთი . შუბანი-კოხის მიმართულებით გზის სარემონტო სამუშაოები

დაბა ჩოხატაურსი გოგიბერიძის ქუჩაზე 12 ბინიანი სახლის ფუნდამენტის გამაგრებითი სამუშაოები

სოფ. დაბლაციხეში საავტომობილო ხიდის, გზების, სარემონტო სამუშაოები

სოფ. კოხნარში საავტომობილო გზის მოწყობისა და კოხნარის და წიფნარის დამაკავშირებელი გზის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები

სოფ. საჭამიასერში ჭალის უბანში ხიდის ბურჯის გამაგრების, ქვემოხეტის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის სარემონტო სამუშაოებისა და ჩომეთში ჩხოროწყუს წყალზე საფეხმაფლო ხიდის მოწყობის სამუშაოები.

ხიდისთავი-ჭაჭიეთის გზის მონაკვეთზე ბეტონის საფარის მოწყობა

ადმინისტრაციული ერთეულებისათვის ბეტონისა და კიუვეტების შექმნა



საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადება (N2284 განკ. ნარჩენი თანხიდან)

სოფ. გორაბერეჟოულში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის სავალი ნაჭილის შეკეთების სამუშაოებისა და სოფ. ჯვარცხმაში შოთა კილასონიას მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები(N1409 განკ. - 19 721 ლ. N485 განკ. – 4959 ლ.)

სტიქია. N1533 განკარგულება (902 000 ლარი)

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადება

სტიქიით დაზიანებული ცენტრალური წყალსაცავი სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. სუფსის

კალაპოტის ფორმირებისა და სარეგულაციო წყალამრიდი ნაგებობის რეაბილიტაცია

"სტიქიის შედეგად დაზიანებული ჩოხატაური-

სოფ. ბუკისციხის გზის დამეწყრილი მონაკვეთის აღდგენის სამუშაოები

სოფ. ქვენობანსა და სოფ. სამებაში ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები (საპროექტო დოკუმენტაციის დამზადება)

სოფ. სამებაში მდ. სუფსაზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები

სოფ. ქვენობანში მდ. გუბაზეულზე ნაპირსამაგრის მოწყობა

დაბა ჩოხატაურში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ბეტონის არხის და ცხურის მოწყობის სამუშაოები, ბუკისციხე-მოედანას

სავალი ნაწილის შეკეთების სამუშაოები, სოფ.ფარცხმაში როლანდი ცინცაძის ეზოსთან ბეტონის საფარის მოყობის სამუშაოები, სოფ. ფარცხმაში ხანის უბანში არსებული ლითონის ხიდის გაფართოების სამუშაოები, სოფ. შუაფარცხმაში ჩხიკვაძეების უბანში წყალგამტარი მილების და სავალი ნაწილის მოწყობის სამუშაოები, სოფ.გოგოლესუბანში სანდრო ყაჭეიშვილის ეზოსთან დამცავი ხრემის დამბების მოწყობის სამუშაოები

სოფ.ბურნათში ვაჟა ძნელაძის და მამედ გაგუასეზოს მისასვლელელების შეკეთების სამუშაოების, სოფ.ჩომეთში წყალგამტარი მილის მოწყობის და კალაგონში დაზიანებული გზის აღდგენის სამუშაოების, სოფ. საჭამიასერი-ზემოხეთის

დამაკავშირებელი გზის შეკეთების სამუშაოები

სოფ. ქვენობანში მეურნეობასთან მისასვლელი გზის შეკეთების სამუშაოები, სოფ. ქვენობანში და სოფ. დაბლაციხეში მოსახლე-ობის შესასვლელელებში წყალგამტარი მილების მოწყობის სამუშაოები, სოფ. ხიდისთავი- ჭაჭიეთის გზის სავალ ნაწილზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, სოფ. ჭაჭიეთის მიმარ-თულებით L=12,0მ სიგრძის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები

სოფ. ერკეთში ს. ჩანტლაძის ეზოსთან დაზიანებული მონაკვეთის აღდგენის სამუშაოები, სოფ. ერკეთში სიმონ ნაკაშიძის ეზოსთან მისასვლელი გზის სავალი ნაწილის შეკეთების სამუშაოების, სოფ. გუთურში ადმინისტრაციული შენობის შესასვლელის მიმდებარედ გვერდითი არხების და მილების მოწყობის სამუშაოები, სოფ. გუთური ერკეთის მიმართულებით სანიარვრე არხების და მილხიდების მოწყობის სამუშაოები

სოფ. მეწიეთში პაპუნა ლომთათიძის საკარმიდამონაკვეთის გამაგრებითი სამუშაოები და სოფ. გორაბერეჟოულში ჯ. დოლიძის მიმართულებით მილხიდებისა და სავალი ნაწილის აღდგენის სამუშაოები ცენტრალური გზიდან სოფ. სამებაში მისასვლელი ხიდის მარცხენა ბურჯის დასაცავად მდინარის კალაპოტის შეცვლის სამუშაოების, სოფ. სამების ტერიტორიაზე საყანე ფართობების დასაცავად გაბიონის და ხრეშის დამბების მოწყობის სამუშაოები, სოფ. შუა ამაღლებაში სკოლის მიმართულებით საყრდენი კედლის და მილის

სათავისების მოწყობა

სტიქია წინა წლის ნარჩენი თანხებიდან

გორაბერეჟოული-ჯვარცხმის შემაერთებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციისა და ხარჯთაღრიცხვების მომზადება.

სოფ. ხიდისთავში დაზიანებული წყალსადენის აღდგენის სამუშაოები

2016 წლის 21 მარტის N485 განკარგულების ეკონომია 172 293 ლ

სოფ. შუაფარცხმაში (ხანი) საჭაპანო ხიდის ბურჯის აღდგენის სამუშაოები, სოფ. შუაფარცხმაში ღია სანიაღვრე არხის სამუშაოები, წყალგამტარი მილების და სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები, სოფ. ზემოსურეში წითელგორას ხიდის შეკეთების სამუშაოები, სოფ. ზემოფარცხმაში (ელიეშვილების უბანში) გზის სავალ

ნაწილზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, სოფ.დაბლაციხეში სასოფლო გზის აღდგენა, ღია სანიაღვრე არხისა და რკინა ბეტონის არხის მოწყობის სამუშაოები, სოფ. დაბლაციხეში ჯაყელების უბანში გზის აღდგენის სამუშაოების (წინა წლის N485 განკ. ეკონომია)

სოფ.გოგოლესუბანში ეთერ გოგოლაძის მიმართულებით ღია სანიაღვრე არხების და წყალგამტარი მილების მოწყობის, სოფ. გოგოლესუბანში რაფიელ სიხარულიძის მიმართულებით ღია სანიაღვრე არხებისა და გზის სავალი ნაწილის მოწყობის, სოფ. ვან-ზომლეთში სახნავ-სათეს ფართობებში ღია სანიაღვრე არხების მოწყობის, სოფ. ვან-ზომლეთი კონცხოულას მიმართულებით გზის სავალი ნაწილის აღდგენის, სოფ.სამებაში რკინა ბეტონის საფარის და სანიაღვრე არხის მოწყობის,სოფ. შუამაღლების ღია სანიაღვრე არხის და რკინა ბეტონის ცხაურის მოწყობის სამუშაოები

სოფ.ხიდისთავში წიფნაგვარას ანზორ ქერქაძის საკარმიდამო ფართობში საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების, სოფ.ხიდისთავი ზენობანში მიქაბერიძის ეზოს მიმდებარედ ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოების, სოფ.ახალშენში(აჭარისტანის დასახლებაში) ღია სანიაღვრე არხების, წყალგამტარი მილების და რკინა ბეტონის ცხაურის მოწყობის სამუშაოების, სოფ.ხიდისთავი-ჭაჭიეთის დამაკავშირებელ გზაზე წყალგამტარი მილებისა და საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების, სოფ.

ხიდისთავში ზენობნის ეკლესიის მიმართულებით გზის სავალი ნაწილის აღდგენის სამუშაოების, სოფ.ხიდისთავი მეწიეთის მიმართულებით შვავის გაწმენდა და ბეტონის კიუეტების მოწყობის სამუშაოები სოფ. ნაბელლავი ჩხაკაურაში სასოფლო გზების,ღია სანიაღვრე არხების აღდგენის სამუშაოები, სოფ.ხევი რკინა-ბეტონის საავტომობილო ხიდთან მისასვლელი ბეტონის გზისა და მოაჯირის მოწყობის სამუშაოები, სოფ.ჯვარცხმა

ვაზიანის ეკლესიის მიმართულებით დაზიანებული გზის სავალი ნაწილის აღდგენა, ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა და ღია არხის გაწმენდა, სოფ.ზოტი თეთრი ღელეს მიმართულებით ბეტონის ბილიკის მოწყობის სამუშაოები, სოფ.ზოტში ელიას ნაყანებში გზის სავალი ნაწილის

აღდგენის სამუშაოები, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში: გორაბერეჟოულში ზ. უნგიაძის კ.გურგენიძის, სოფ.ვანზომლეთში ქურიძის ეზოსთან, სოფ. შუაფარცხმაში

ა.მეგრელიშვილის ეზოსთან და ყოფილი N2 ფაბრიკის დასახლებაში წყალგამტარი მილების მოწყობის სამუშაოები

დაბა ჩოხატაურში ვაჟა ქორიძის ეზოსთან წყლის საწრეტის მოწყობის სამუშაოები, სოფ.ზემოერკეთში სტიქიით დაზიანებული შიდა გზების შეკეთების სამუშაოების, სოფ.ზემოხეთში სტიქიით დაზიანებული გზის შეკეთების სამუშაოები, სოფ.ზემოხეთში წყალგამტარი მილის მოწყობის სამუშაოების, სოფ.ჩენობანში სტიქიით დაზიანებული წყალგამტარი მილების აღდგენის სამუშაოების, სოფ.თავპანტაში მდ.გუბაზეულზე გადასასვლელი ხიდის მოწყობის სამუშაოების, სოფ.წიფნარში სტიქიით დაზიანებული შიდა გზების შეკეთების სამუშაოების

**2.6 სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა და განვითარება.** ამ მიზნით გამოიყო სულ 1,55 ათასი ლარი, რაც მოხმარდა მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის კუთხით, ქვეყანაში განხორციელებული პროექტების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას: სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ტრენინგს---- „მიწის გამარტივებული რეგისტრაცია“ და „თხილის მოსავლიანობის ხარისხობრივი ზრდა“.

**3. განათლების ღონისძიებები** დაფინანსებულია 1 093,3 ათასი ლარით, რაც გეგმის (1 120,8 ათასი ლარი) (97,5 %)მათ შორის განხორციელდა შემდეგი სახის ქვეპროგრამები:

**3.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსებას** მოხმარდა 966,4 ათასი ლარი, ამ მიმართულებით სახსრების მართვაზე პასუხისმგებელია ა(ა)იპ „მომავალი“. პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, გასახნელად მოემზადა სამი ახალი საბავშვო ბაღი სოფლებში: ხევი, სამება და ამაღლება. უზრუნველყოფილი იქნება მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურება. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზა გაუმჯობესდება.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 16 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 635 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ

შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

**3.2 განათლების სისტემის ხელშეწყობის** ფარგლებში გამოყოფილი 28,35 ათასი ლარი ძირითადად მოხმარდა ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობას. მათ შორის სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და მოსწავლეების ტრანსპორტით მგზავრობისა და სხვა ღონისძიებების ხელშეწყობას. მოხდა მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში გაერთიანებული მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება

**3.3 ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის** დაფინანსება განხორციელდა 98,55 ათასი ლარით, აღნიშნული სახსრებით ძირითადად განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები: იდენტური ნაძვის ხეების გამოფენა, ეთნოგრაფ მხარეთმცოდნეობის წრის მიერ ნაბეჭდი გაზეთის „მომავლი ხმა“ გამოცემა, თეატრალური წრის მიერ დაიდგა სპექტაკლი „ყინული დედოფალი“, ჩატარდა სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციები, საჯარო სკოლების მონაწილეობით, მოეწყო მუზეუმის საერთაშორისო დღე, ჩატარდა პასკის დღეასაწაული ხალხური რეწვის, დიზაინერთა, ეკოკლუბის მონაწილეობით და სხვა ღონისძიებები. მოსწავლე ახალგაზრობის სახლში ფუნქციონირებდა 12 წრე მათ შორის გიტარის, საესტრადო სიმღერის, მხატვრული კითხვის, ფოლკლორის, მეტყველების, ეთნოგრაფ/მხარეთმცოდნეობის, ხალხური რეწვის, თეატრის, კონგბოქსის, ჟურნალისტთა, ეკოკლუბისა და შშმ პირთა კლუბი.

**4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები** დაფინანსდა 1 570,94 ათასი ლარით, რაც გეგმის (1593,2 ათასი ლარი) 98,6 პროცენტია;

**4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობას** მოხმარდა 585,3 ათასი ლარი, აღნიშნული სახსრები მიიძღვრება ჩოხატაურის სპორტული სკოლის, სპორტის განვითარების ცენტრის, საფეხბურთო კლუბი „ბახმაროს“ და ფეხბურთის განვითარების ფონდის დასაფინანსებლად. რაც თავის მხრივ მოიცავდა სხვადასხვა

სახის ღონისძიებების დაფინანსებას. კერძოდ, მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადებას და მონაწილეობას ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მუნიციპალიტეტში არსებული სკოლები, რომელიც აერთიანებს ძიუდოს, ფეხბურთის, მძლეოსნობის, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, ბალახის ჰოკეის, კალათბურთის, ჭადრაკის, ფრენბურთის სპორტულ წრეებს. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 9 სპორტული სახეობის 19 სექცია, სადაც გაერთიანებულია 11 მწვრთნელი 300 მოსწავლე სპორტსმენი.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყო რაიონული პირველობა საჯარო სკოლებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში, ცხრა აპრილის ტურნირი ბალახის ჰოკეიში, სარაგბო ფესტივალი რაგბში, მოსწავლეთა რაიონული პირველობები კალათბურთში, „სიჭაბუკის თასზე“, „კვაჭაძის თასზე“, „ჟორდანიას თასზე“, „მეგრელაძის თასზე“ ფეხბურთში, რაიონული პირველობები მინი ფეხბურთში ველოსპორტსა და ფრენბურთში, შიდა სარაიონო პირველობა მძლეოსნობაში და ა.შ. შეძენილი იქნა მოსწავლეთა და მწვრთნელთა სპორტული ფორმები. დამონტაჟდება სავარჯიშო ტრენაჟორები სადაც ივარჯიშებენ როგორც სპორტსმენები ასევე მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.

აგრეთვე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა საფეხბურთო კლუბი „ბახმარო-2009“ რომელიც აერთიანებს 18 სპორტსმენს და მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაში.

**4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობის** კუთხით დაფინანსდა 959,98 ათასი ლარი, რაც ძირითადად მოხმარდა კულტურის ცენტრის, მუსიკალური სკოლის, სამხატვრო სკოლის, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების ფუნქციონირებას.

კულტურის ცენტრის მიერ კინოთეატრ „გურიაში“ ჩატარდა საშობაო ზეიმი, დედის დღისადმი მიძღვნილი საღამო – „დედის ღიმის მოურთმევია გაზაფხული“, ერისთავების სასახლეში გახორციელდა ანსაბლი „გურიას“ ჩაწერა, ანა კალანდაძის სკვერში ჩატარდა ტრადიციული პასკის ფესტივალი, ანსაბლ „ამაღლებას“ წევრებმა

მიიღეს მონაწილეობა პოლონეთში გამართულ ფესტივალზე, ჩატარდა ფოლკორული ანსამბლი „მანდილის“ საიუბილეო საღამო, ჩატარდა 9 მაისის ფაშიზმზე გამარჯვები აღსანიშნავად ღონისძიებები, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ანსამბლებმა მიიღეს მონაწილეობა როგორც საქართველოს სხვადასხვა მხარეში ასევე საზღვარგარეთ გამართულ სვადასვა სახის ფესტივლებსა და ღონისძიებებში.

ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანება მოიცავს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ჩოხატაურის მხარედმცოდნეობის მუზეუმს, ნიკო მარის სახლ-მუზეუმს, ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმს და მოსე გოგიბერიძის სახლ-მუზეუმს. მუზეუმის გაერთიანების ორგანიზებით 2016 წლის განმავლობაში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: ისტორიის, ხელოვნების და ლიტერატურის გაკვეთილების სერია მუზეუმებში, განხორციელდა პროექტი – ადადგინე ისტორია არქივთან ერთად, ერისთავების სასახლეში მოეწყო ინტეგრირებული შემოქმედებითი ღონისძიება, ჩატარდა ნოდარ დუმბაძის საიუბილეო საღამო, ჩატარდა ნიკო მარის 150 წლისადმი მიძღვნილი საღამო, პროფესორ მოსე გოგიბერიძის გარდაცვალებიდან 65 წლის აღსანიშნავად მის სახლ-მუზეუმში ჩატარდა საჯარო ლექცია, ასევე მოეწყო სხვა ღონისძიებები.

საბიბლიოთეკო გაერთიანება მოიცავს 1 მთავარ, 16 სოფლის ბიბლიოთეკას და 3 გაცემის პუნქტს. საბიბლიოთეკო გაერთიანება წლის განმავლობაში მოემსახურა 2442 მკითხველს, რომელზეც გაიკა 12501 ცალი ლიტერატურა, დამსწრეთა რაოდენობამ 2016 წელს შეადგინა 8982 მკითხველი. ბიბლიოთეკა ასევე უწყობდა ხელს გამოფენების მოწყობას და სხვა ღონისძიებების ჩატარებას სხვადასხვა აქტუალურ თემებთან დაკავშირებით.

**4.3 საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის** ფარგლებში გაწეული იქნა 15,26 ათასი ლარის ღონისძიებები. მათ შორის ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. კერძოდ, კულტურულ-შემეცნებითი, გასართობი და სანახაობრივი პროექტების თანადაფინანსება. ასევე ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განვითარების მიზნით მხარდაჭერილი პროექტების თანადაფინანსება.

4.4 რელიგიური ორგანიზაციების ხელისშეწყობის მიზნით გაიხარჯა 10,4 ათასი ლარი, აღნიშნული სახსრები გამოყოფილი იქნა შემოქმედის ეპარქიისათვის.

**5, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**  
დაფინანსდა 722.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (744,1 ათასი ლარი) 97,0%

**5,1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის** მიმართულებით დელეგირებული ფუნქციების დასაფინანსებლად გამოყოფილი იქნა 96,91 ათასი ლარი, რის ფარგლებშიც განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები: გადამდე დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები, ისეთ ეპიდემიებზე როგორცაა“ ცოფის, ტუბერკულოზის, ჰეპატიტის, ჩუტყვავილას, სიფილისის, შხამიანი მწერის ნაკბენის, საკვების მიერი მოშხამვის, ბრუცელოზის რისკის მქონე ექსპოზიცია, და სხვა. განხორციელდა იმუნოპროფილაქტიკური ლოჯისტიკის უზრუნველყოფა, ანტირაბიული ღონისძიებები, მალარიის, ჰელმინთოზების წინააღმდეგ პრევენციული და კონტროლის ბრძოლის ღონისძიებები, სანიტარული ღონისძიებები, ცხოვრების ჯანსაღი წესის და მოსახლეობის ინფორმირების პროგრამა. ასევე მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გაეწია სამედიცინო მომსახურება რაიონში მოქმედი 12 საფერშლო პუნქტის მიერ, სადაც 2016 წლის განმავლობაში მომსახურება მიიღო 2170 მოსახლემ. ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ყოველ წლიურად კეთდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი.

**5,2 სოციალური პროგრამები** დაფინანსდა 625,19 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრები მოხმარდა ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების დაფინანსებას, რომლის ფარგლებშიც დახმარება გაეწია:

მეორე მსოფლიო ომის 10 მონაწილეს (მედიკამენტებისათვის განკუთვნილი დახმარების პროგრამა);

0-18 წლამდე ასაკის 57 მოქალაქეს (სამედიცინო მომსახურების დახმარება);

18 წლის ზევით 934 მოქალაქეს (მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურება);



ონკოლოგიური დაავადებით დაავადებულ 130 მოქალაქეს (მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურება);

18 წელს ზევით 57 შშმ პირს (მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურება);

გულის პათოლოგიით დაავადებულ 10 ბავშვს;

მრავალშვილიან 22 ოჯახს;

ახალშობილის 80 ოჯახს;

55 დევნილ მოქალაქეს;

დიალიზზე მყოფ 11 მოქალაქეს;

ომის ვეტერანის სარიტუალო პროგრამის ფარგლებში 3 ოჯახს,

მარტოხელა (უპატრონო) მიცვალებულის დაკრძალვის პროგრამით დაიკრძალა 14 პირი;

ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარებით ისარგებლა 4 ბავშვმა;

შშმ ბავშვების ყოველთვიური ფულადი დახმარება მიეცა 55 ბავშვს;

დედ-მამით ობოლ 2 ბავშვს მიეცათ ყოველთვიური დახმარება;

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და ომში დაღუპულის ქვრივს ერთჯერადად შემისათვის მიეცა დახმარება 14 მოქალაქეს;

ავვისტოსა და აფხაზეთის ომებში დაღუპულთა ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარებით ისარგებლა 12 ოჯახმა;

ხანდაზმულ (100 წელზე ზევით) 4 მოქალაქეს გაეწია ერთჯერადი დახმარება;

სტიქიით დაზარალებულ 64 ოჯახს გაეწია დახმარება;

ერთჯერადი ფულადი დახმარებით ისარგებლა 715 პირმა.

ეპილეფსიით დაავადებულმა 16 ოჯახმა ისარგებლა ფულადი დახმარებით.

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო  
(არაკომერციული) იურიდიული პირების 2016 წლის ბიუჯეტების შესრულების  
მაჩვენებლები**

<i>ა(ა)იპ კურორტი ბახმარო-ს იუჯეტის 2016 წლის მაჩვენებლები</i>		
<b>დასახელება</b>	<b>სულ</b>	<b>საკასო შესრულება</b>
<b>შემოსულობები</b>	<b>94,0</b>	<b>109,0</b>
ადგ. ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები	94,0	109,0
სხვა შემოსავლები	0.0	0.0
<b>გადასახდელები</b>	<b>94,0</b>	<b>109,0</b>
<b>ხარჯები</b>	<b>94,0</b>	<b>109,0</b>
სუბსიდია		82.72
საქონელი და მომსახურება	0	26.29

<i>ა(ა)იპ სამხატვრო სკოლის ბიუჯეტის 2016 წლის მაჩვენებლები</i>		
<b>დასახელება</b>	<b>სულ</b>	<b>საკასო შესრულება</b>
<b>შემოსულობები</b>	<b>105,6</b>	<b>105.35</b>
ადგ. ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები	105,6	105.35
სხვა შემოსავლები	0.0	0.0
<b>გადასახდელები</b>	<b>105,6</b>	<b>105.35</b>
<b>ხარჯები</b>	<b>105,6</b>	<b>105.35</b>
სუბსიდია	105,6	105,35
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0

<i>ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანების ბიუჯეტის 2016 წლის მაჩვენებლები</i>
--

დასახელება	სულ	საკასო შესრულება
<b>შემოსულობები</b>	<b>170,3</b>	<b>167,95</b>
ადგ. ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები	170,3	167,95
სხვა შემოსავლები	0,0	0,0
<b>გადასახდელები</b>	<b>170,3</b>	<b>167,95</b>
<b>ხარჯები</b>	<b>170,3</b>	<b>162,70</b>
სუბსიდია	170,3	161,72
სოციალური უზრუნველყოფა	0	0,98
არაფინანსური აქტივების ზრდა	0	5,24

ა(ა)იპ კულტურის ცენტრის ბიუჯეტის 2016 წლის მაჩვენებლები (ათასი ლარი)		
დასახელება	სულ	საკასო შესრულება
<b>შემოსულობები</b>	<b>396,2</b>	<b>397,0</b>
ადგ. ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები	396,2	397,0
სხვა შემოსავლები	0,0	0,0
<b>გადასახდელები</b>	<b>396,2</b>	<b>397,0</b>
<b>ხარჯები</b>	<b>396,2</b>	<b>397,0</b>
სუბსიდია	396,2	397,0
საქონელი და მომსახურება	0	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0

<b>ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანების ბიუჯეტის 2016 წლის მაჩვენებლები</b>		
<b>დასახელება</b>	<b>სულ</b>	<b>საკასო შესრულება</b>
<b>შემოსულობები</b>	<b>143,0</b>	<b>139.55</b>
ადგ. ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები	143,0	139.55
სხვა შემოსავლები	0.0	0.0
<b>გადასახდელები</b>	<b>143,0</b>	<b>139.55</b>
<b>ხარჯები</b>	<b>143,0</b>	<b>139.55</b>
სუბსიდია	143,0	133,84
საქონელი და მომსახურება	0	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	0	5,71

<b>ა(ა)იპ სასპორტო სკოლის ბიუჯეტის 2016 წლის მაჩვენებლები</b>		
<b>დასახელება</b>	<b>სულ</b>	<b>საკასო შესრულება</b>
<b>შემოსულობები</b>	<b>273,0</b>	<b>267.54</b>
ადგ. ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები	273,0	267.54
სხვა შემოსავლები	0.0	0.0
<b>გადასახდელები</b>	<b>273,0</b>	<b>267.54</b>
<b>ხარჯები</b>	<b>273,0</b>	<b>267.54</b>
სუბსიდია	273,0	262.57
სოციალური უზრუნველყოფა	0	1,21
არაფინანსური აქტივების ზრდა	0	4.97

ა(ა)იპ სპორტის განვითარების ცენტრის ბიუჯეტის 2016 წლის მაჩვენებლები		
დასახელება	სულ	საკასო შესრულება
<b>შემოსულობები</b>	<b>165,0</b>	<b>161.25</b>
ადგ. ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები	165,0	161.25
სხვა შემოსავლები	0.0	0.0
<b>გადასახდელები</b>	<b>165,0</b>	<b>161.25</b>
<b>ხარჯები</b>	<b>165,0</b>	<b>161.25</b>
სუბსიდია	165,0	160.63
საქონელი და მომსახურება	0	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0.62

ა(ა)იპ ს.ს.ს. დაწესებულება „მომავალი“ ბიუჯეტის 2016 წლის მაჩვენებლები		
დასახელება	სულ	საკასო შესრულება
<b>შემოსულობები</b>	<b>987,0</b>	<b>966.39</b>
ადგ. ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები	987,0	966.39
სხვა შემოსავლები	0.0	0.0
<b>გადასახდელები</b>	<b>987,0</b>	<b>966.39</b>
<b>ხარჯები</b>	<b>987,0</b>	<b>933.85</b>
სუბსიდია	987,0	927.84
სოციალური უზრუნველყოფა	0	6,01
არაფინანსური აქტივების ზრდა	0	32.54

<b>ა(ა)იპ კომუნალური სამსახური „სხივი“-ს ბიუჯეტის 2016 წლის მაჩვენებლები</b>		
<b>დასახელება</b>	<b>სულ</b>	<b>საკასო შესრულება</b>
<b>შემოსულობები</b>	<b>462,5</b>	<b>461.28</b>
ადგ. ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები	462,5	461.28
სხვა შემოსავლები	0.0	0.0
<b>გადასახდელები</b>	<b>462,5</b>	<b>461.28</b>
<b>ხარჯები</b>	<b>462,5</b>	<b>460.78</b>
სუბსიდია	462,5	460.78
საქონელი და მომსახურება	0	0,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0.50

<b>ა(ა)იპ სამუსიკო სკოლი-ს ბიუჯეტის 2016 წლის მაჩვენებლები</b>		
<b>დასახელება</b>	<b>სულ</b>	<b>საკასო შესრულება</b>
<b>შემოსულობები</b>	<b>106,6</b>	<b>102,09</b>
ადგ. ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები	106,6	102,09
სხვა შემოსავლები	0	0
<b>გადასახდელები</b>	<b>106,6</b>	<b>102,09</b>
<b>ხარჯები</b>	<b>106,6</b>	<b>99,96</b>
სუბსიდია	106,6	99,36
საქონელი და მომსახურება	0	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	0	2,13

<b>ა(ა)იპ ჯანდაცვის ცენტრი -ს ბიუჯეტის 2016 წლის მაჩვენებლები</b>		
<b>დასახელება</b>	<b>სულ</b>	<b>საკასო შესრულება</b>
<b>შემოსულობები</b>	<b>101,0</b>	<b>96,91</b>
ადგ. ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები	101,0	96,91
სხვა შემოსავლები	0,0	0,0
<b>გადასახდელები</b>	<b>101,0</b>	<b>96,91</b>
<b>ხარჯები</b>	<b>101,0</b>	<b>95,23</b>
სუბსიდია	101,0	47,8
სოციალური უზრუნველყოფა	0	0,15
არაფინანსური აქტივების ზრდა	0	1,68

<b>საფეხბურთო კლუბი „ბახმარო“-ს ბიუჯეტის 2016 წლის მაჩვენებლები</b>		
<b>დასახელება</b>	<b>სულ</b>	<b>საკასო შესრულება</b>
<b>შემოსულობები</b>	<b>72,6</b>	<b>77.11</b>
ადგ. ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები	72,6	77.11
სხვა შემოსავლები	0,0	0,0
<b>გადასახდელები</b>	<b>72,6</b>	<b>77.11</b>
<b>ხარჯები</b>	<b>72,6</b>	<b>77.11</b>
სუბსიდია	72,6	77.11
საქონელი და მომსახურება	0	0,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0

<i>ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი-ს ბიუჯეტის 2016 წლის მაჩვენებლები</i>		
დასახელება	სულ	საკასო შესრულება
<b>შემოსულობები</b>	<b>101,5</b>	<b>98,55</b>
ადგ. ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები	101,5	98,55
სხვა შემოსავლები	0,0	0,0
<b>გადასახდელები</b>	<b>101,5</b>	<b>98,55</b>
<b>ხარჯები</b>	<b>101,5</b>	<b>98,55</b>
სუბსიდია	101,5	98,55
საქონელი და მომსახურება	0	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0

<i>ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი ბიუჯეტის 2016 წლის მაჩვენებლები</i>		
დასახელება	სულ	საკასო შესრულება
<b>შემოსულობები</b>	<b>79,0</b>	<b>79,40</b>
ადგ. ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები	79,0	79,40
სხვა შემოსავლები	0,0	0,0
<b>გადასახდელები</b>	<b>79,0</b>	<b>79,40</b>
<b>ხარჯები</b>	<b>79,0</b>	<b>79,40</b>
გრანტი	79,0	79,40



<i>ა(ა)იპ სამხატვრო გალერეა ბიუჯეტის 2016 წლის მაჩვენებლები</i>		
დასახელება	სულ	საკასო შესრულება
<b>შემოსულობები</b>	<b>43,7</b>	<b>42,65</b>
ადგ. ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები	43,7	42.65
სხვა შემოსავლები	0.0	0.0
<b>გადასახდელები</b>	<b>43,7</b>	<b>42.65</b>
<b>ხარჯები</b>	<b>43,7</b>	<b>39.0</b>
სუბსიდია	43,7	39.0
საქონელი და მომსახურება	0	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	3.66

პატივისცემით,

საფინანსო

სამსახურის უფროსი:

მ. გოგოლაძე



